

ჩვენი გიმნაზია

სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქიის და წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზიის ყოველთვიური გაზეთი №7 ივლისი 2014 წ.

გაზეთი გამოდის გიმნაზიის დირექტორის სტეფანწმინდისა და ხევის მთავარეპისკოპოს იეგუდიელის ლოცვა-კურთხევით.

იოანე ნათლისმცემლის შობა

7 ივლისს მართლმადიდებლური ეკლესია წმიდა იოანე ნათლისმცემლის შობას აღნიშნავს. იგი უფლის წინამორბედი იყო. ამ დღეს სრულიად საქართველოს ტაძრებში წირვა-ლოცვა აღევლინება.

იოანე უდიდესი წინასწარმეტყველი იყო. მან ძველი აღთქმის ეპოქა დაასრულა და უფლის განკაცება დაამოწმა.

ნათლისმცემელი ბავშვობიდანვე უდაბნოში იზრდებოდა. მარხვითა და ლოცვით ემზადებოდა ღვთის სათნო მსახურებისათვის. 30 წლის იოანე ნათლისმცემელი მდინარე იორდანეში ნათლავდა იუდეველებს, რომლებიც მის წინაშე ცოდვებს აღიარებდნენ და მოუწოდებდა: „შეინანეთ, რამეთუ მოახლოებულ არს სასუფეველი ცათაი“.

მრავალ მხრიდან მოდიოდნენ იოანე წინასწარმეტყველის სიტყვების მოსასმენად. მას დიდ პატივს სცემდნენ. წმიდანი ხალხს იესოსთან შესახვედრად ამზადებდა. იოანემ მისკენ მოსანათლად მომავალი უფალი შორიდანვე იცნო, თავმდაბლად წარსდგა მის წინაშე და უთხრა: „მე მიხმს შენს მიერ ნათლისღებაი და შენ ჩემდა მოხუალ?“ შემდეგ დამორჩილდა ღვთის ნებას და მონათლა მაცხოვარი სოფლისა და მის თავზე ხელის შეხებით თვითონაც მოინათლა.

იოანე ნათლისმცემელი მოწამეობრივად აღესრულა. მას თავი მოჰკვეთეს. ღვთისმშობლის შემდეგ იგი უდიდესი მეოხია ღვთის წინაშე. წმიდა იოანე არის მოძღვარი სინანულისა.

13 ივლისი — სვეტიცხოვლობა — კრება წმ. დიდებულთა ათორმეტთა მოციქულთა

13 ივლისს საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია წმიდა დიდებულთა ათორმეტთა მოციქულთა კრებას, სვეტიცხოვლობას აღნიშნავს. პეტრე-პავლობის მომდევნო დღეს ეკლესია ქრისტეს თორმეტ მოციქულს ერთად იხსენიებს.

მაცხოვრის თორმეტი მოციქულის სახელებია; პირველად სიმონ, რომელსაც ეწოდა პეტრე და ანდრია — ძმაი მისი, იაკობ ზებედესი და იოანე — ძმაი მისი, ფილიპე და ბართლომე, თომა და მატთეოს მეზუერე, იაკობ ალფესი და ლიბეოს, რომელსა ეწოდა თადეოს, სიმონ კანანელი და იუდა ისკარიოტელი, რომელმაც გასცა იესო ქრისტე.

ცნობები ამ დღესასწაულის აღნიშვნის შესახებ IV საუკუნიდან მოგვეპოვება

ლოცვა წმიდათა დიდებულთა და ყოვლადქებულთა მოციქულთა თავთა — პეტრესა და პავლეს მიმართ

ჰოი, ყოვლად-დიდებულნო მოციქულნო წმიდანო, პეტრე და პავლე, ქრისტეს მიერ შეყვარებულნო, ანგელოზთაგან პატივცემულნო, კაცთაგან თაყვანისცემულნო, ეკლესიათა მტკიცეთა საფუძველნო, ყოველთა მორწმუნეთა მიმართ წინამძღვარნო, მზეებრ შარავანდედითა თქვენითა სოფლისა განმანათლებელნო, ქრისტიანეთა სულთა განმაბრწყინვებელნო და ღმრთისა მიმართ შემწირველნო.

ჰოი, ყოვლადწმიდისა სამებისა ქადაგნო, და მის მიერ ღვთივმშვენიერად განათლებულნო წმიდანო მოციქულნო, მას სახიერსა ევედრენით, რათა ყოველთავე მართლმადიდებელთა მოგვმადლოს მარადის სათნო-ყოფა, კეთილ მოქალაქობით წარმართება, ზეცისა მოქალაქედ გამოჩინებად და თქვენ თანა ზიარ-ყოფა, მართალთა თანა სავანეობა და ანგელოზთა თანა გალობა, რამეთუ შვენის ყოველი დიდება, პატივი და თაყვანისცემა, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდი, ამინ.

სვეტიცხოველი — ნიჭის ღვთიური ქმნილება

სვეტიცხოველი — ქართული კულტურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის უმნიშვნელოვანესი ძეგლი გამოირჩევა არა მხოლოდ თავისი მხატვრული ღირსებით, დიდებულებით და ჰარმონიულობით, არამედ იმ განსაკუთრებული როლითაც, რომელიც მან ქართველი ერის ისტორიაში შეასრულა.

სვეტიცხოველი უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენდა საქართველოს რელიგიურ ცენტრს, რადგან იგი იყო საპატრიარქო ტაძარი, საქართველოს ეკლესიის მეთაურთა, კათოლიკოს-პატრიარქთა რეზიდენცია. სწორედ სვეტიცხოველში ხდებოდა საქართველოს მეფეთა და ეკლესიის მეთაურთა კურთხევა, ჯვრისწერა, ქართველ უფლისწულთა მონათვლა. აქ ხდებოდა ქართველ მეფეთა, დედოფალთა, ბატონიშვილთა და კათოლიკოს-პატრიარქთა დაკრძალვა.

სვეტიცხოვლის ღვევანდელი ნაგებობა XI საუკუნისაა.

გთხოვთ, გაუფრთხილდეთ გაზეთს მასში დაბეჭდილი ტექსტის და ფოტომასალის გამო.

დადება პატიოსნისა სამოსლისა ყოვლადწმიდისა დედუფლისა ჩვენისა ღვთისმშობელსა ვლაქერნას (V ს.). ხსენება 15 ივლისს

ბიზანტიაში ლეონ დიდის, მაკედონელის ზეობისას მეფესთან დაახლოებული პირები, ძმები გალდიუსი და კანდიდ კონსტანტინეპოლიდან პალესტინაში გაემგზავრნენ წმიდა ადგილების მოსალოცად. ნაზარეთის მახლობლად მდებარე პატარა სოფელში ისინი ერთ მოხუც ებრაელ ქალთან დარჩნენ ღამის გასათევად. სახლში სტუმრების ყურადღება ანთებულმა სანთლებმა და საკმეველის სურნელებამ მიიპყრო. კითხვაზე — რა სიწმინდე ინახებოდა მასთან — მასპინძელს დიდხანს არ სურდა პასუხის გაცემა,მაგრამ ძმებმა დაიჟინეს და ქალიც იძულებული გახდა გაემხილა, რომ იგი იცავდა ძვირფას სიწმინდეს — ღვთისმშობლის სამოსელს, რომლისგანაც მრავალი სასწაული და კურნება აღესრულებოდა. ყოვლადწმიდა ქალწულმა მძძინების წინ ერთი თავისი შესამოსელთაგანი ამ ტომის კეთილმსახურ ებრაელ ქალწულს აჩუქა და სთხოვა, რომ სიკვდილის მოახლოებისას ის სხვისთვის, ქალწულისათვის გადაებარებინა.

ასე თაობიდან თაობას გადაეცემოდა სიწმინდე ამ ოჯახში. ძვრფასი კიდობანი წმიდა სამოსლით კონსტანტინეპოლში გადაიბრძანეს. პატრიარქი გენადი და იმპერატორი ლეონი კრძალვით მიეახლნენ და ეამბორნენ მას. ვლაქერნაში ზღვის სანაპიროზე, ღვთისმშობლის პატივსაცემად ახალი ეკლესია ააგეს. 458 წლის 15 ივლისს წმიდა გენადი კონსტანტინოპოლელმა ახალ კიდობანში ჩაბრძანებული სიწმინდე შესაფერისი პატივისცემით გადაასვენა ამ ტაძარში. შემდგომში ღვთისმშობლის პატიოსანი სამოსლის კიდობანში ჩააბრძანეს მისი წმიდა ომოფორი და სარტყლის ნაწილი. დღესასწაული აერთიანებს ორ მოვლენას: ღვთისმშობლის სამოსლისა და მისივე სარეტლის დადებას ვლაქერნაში.

16 ივლისი
ყოვლადწმიდა სამების დღესასწაული

სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქია — საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი მთიანი მხარეა. აქ სოფელ გერგეტში მდებარეობს ყოვლადწმიდა სამების სახელობის მონასტერი (XIV ს.), რომელიც ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, ძნელბედობის ჟამს მცხეთის საკათალიკოსოს სამკაულთა და წმიდა ნინოს ჯვრის სახიზარი ადგილი ყოფილა.

გერგეტის მონასტერში ყოველი წლის 16 ივლისს ღვთისმსახებელი ერი ყოვლადწმიდა სამების (სიყვარულის) დღესასწაულს ზეიმობს. რაოდენ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ამ დღეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა, ილია II სიყვარულის დღესასწაული უწოდა. ზეციური კურთხევა არ მოჰკლებოდეს სრულიად საქართველოს!

დღესასწაულთა სიმრავლით, მრავალჟამიერ!

კონფერენცია საქართველოს საპატრიარქოს განათლების ცენტრში

21 ივნისს ქ. თბილისში საქართველოს საპატრიარქოს განათლების ცენტრის მიერ ჩატარდა კონფერენცია. კონფერენცია იყო ორდღიანი, მასში მონაწილეობდნენ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული, საპატრიარქოს დაქვემდებარებაში მყოფი გიმნაზიის ხელმძღვანელები და პედაგოგები.

კონფერენციას უძღვებოდა საქართველოს საპატრიარქოს განათლების ცენტრის თავმჯდომარე მიტროპოლიტი იოანე.

კონფერენცია ემსახურებოდა გიმნაზიებში სწავლების საკითხების სრულყოფას. მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს მიერ შემოთავაზებულ სასკოლო პროგრამებსა და გრიფირებული წიგნების შესახებ მსჯელობას, შენიშვნებსა და რეკომენდაციებს.

კონფერენციაზე მუშაობისას გამოიკვეთა, რომ სატკივარი თითქმის ყველა გიმნაზიისთვის ერთნაირი იყო. კერძოდ ის, რომ:

1. ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საქმეში დაწყებით საფეხურზე არასაკმარისია საათების რაოდენობა. აღინიშნა, რომ წერისთვის რჩება ნაკლები დრო და ვერ ხერხდება კალიგრაფიის გაუმჯობესებაზე ზრუნვა.

ცუდი შედეგი გამოიღო საბაზო და საშუალო საფეხურზე გრამატიკის სწავლების არარსებობამ ცალკე საგნად. აღინიშნა, რომ ინტეგრირებული სწავლება არ ეფუძნება ენის სწავლების მეთოდიკას, შესაბამისად გრამატიკის ცოდნა არ არის საფუძვლიანი, არადა, როგორც საატესტატო, ისე ეროვნულ გამოცდებზე გრამატიკის საფუძვლიან ცოდნას ითხოვენ.

ამ საკითხთან დაკავშირებით გიმნაზიების წარმომადგენელთა ერთობლივი შეთავაზება-რეკომენდაცია იყო — დაწყებით საფეუხრზე დაემატოს 1 საათი, ხოლო საბაზო და საშუალო საფეხურზე — გრამატიკა ისწავლებოდეს ცალკე საგნად (შანიძე, კვაჭაძე).

ასევე განხილული იქნა შენიშვნები და რეკომენდაციები 2011-2016 ს. წ. ეროვნული სასწავლო გეგმის მათემატიკის საგნის მიმართ.

უარყოფითად შეფასდა დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე ალგებრა და გეომეტრიის ერთად სწავლება. აღნიშნული იქნა, რომ ბავშვებს უჭირთ გარჩევა და სწავლა რომელია გეომეტრია და რომელი — ალგებრა. მსჯელობის შედეგად მიღებული იქნა ასეთი რეკომენდაცია — გაიყოს დღეები ალგებრა-გეომეტრიის სწავლებისა და გაკეთდეს ცალ-ცალკე პროგრამა ორივე ნაწილში.

განხილული იქნა შენიშვნები და რეკომენდაციები 2011-2016 ს. წ. ეროვნული სასწავლო გეგმის საზოგადოებრივი მეცნიერების საგნობრივი ჯგუფის მიმართ და მსჯელობის შედეგად მიღებული იქნა რეკომენდაცია — დაწყებით საფეხურზე ისწავლებოდეს მატიანე, თავისი სამუშაო რვეულით, საბაზო საფეხურზე შესავალი ისტორიაში, ხოლო საშუალო საფეხურზე, 10 კლასში ისწავლებოდეს საქართველოს ისტორია.

შენიშვნები იყო ასევე არჩევითი საგნების მიმართ. ყველაზე მეტად კი წუხილი იყო იმის გამო, რომ არ არის სახელმძღვანელოები, ამიტომ საჭიროა შეთავაზებული იქნეს სახელმძღვანელოები ან სხვა რაიმე ალტერნატივა.

კონფერენციაზე მსჯელობის საკითხი იყო ის, რომ I კლასიდან არ უნდა ისწავლებოდეს ინგლისური. ბავშვებმა ჯერ ქართული წერა-კითხვა არ იციან და ვთავაზობთ ინგლისურს. უკეთესი იქნებოდა, ინგლისურის სწავლება III კლასიდან იწყებოდეს, მის მაგივრად კი მათემატიკას და ქართულს დაეთმოს ინგლისურის საათები.

ინგლისური ენის სავარჯიშოები ქართველი ბავშვებისათვის რთულია. ის შექმნილია ინგლისურენოვანი ბავშვებისთვის, ამიტომ ამ მიმართებით სახელმძღვანელოები გადასახედია.

მსჯელობა გაიმართა რუსული ენის სწავლებასთან დაკავშირებით. ყველას მოსაზრება იყო, რომ რუსული ენის სწავლებაც უნდა იწყებოდეს II-III კლასიდან.

აგვისტოს თვის საეკლესიო კალენდარი

2 — ხს. წინასწარმეტყველი ილია თეზბიტელისა, წმ. ილია მართლისა.

უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ანგელოზის დღე.

7 — მიძინება მართალ ანასი — ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის დედისა.

9 — ხს. წმ. მკურანლისა პანტელეიმონისა.

14 — შემოყვანება პატიოსნისა ძელისა და ცხოველმყოფელისა ჯვარისა. წყლის კურთხევა. მცირე აიაზმა.

19 — ფერისცვალება

28 — მიძინება ყოვლადწმიდისა ღვთისმშობელისა — მარიამობა

29 — ანჩისხატობა

კონფერენციის ყველა მონაწილემ დიდი გულისტკივილი გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ გაუარესდა მდგომარეობა სულიერადაც და მოსწრებითაც. ამის მიზეზად დასახელდა ის, რომ წიგნები და პროგრამები თავისი შინაარსით არ ემსახურება მოსწავლეთა ამ მიმართებით აღზრდას. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ მშობლები გახდნენ პასიურები, მათ არ ადარდებთ შვილების განათლება და სულიერი სიჯანსაღე. ისინი ფიქრობენ, რომ შვილი მოიყვანა გიმნაზიაში და ამით მისი მოვალეობა და ვალდებულება დამთავრდა, არადა, მშობელი აქტიურად უნდა მონაწილეობდეს გიმნაზიის ცხოვრებაში, მის საქმიანობაში. შვილთან ერთად უნდა ესწრებოდეს წირვა-ლოცვას, შვილთან ერთად უნდა ეზიარებოდეს. თუ მშობელი ამას არ აკეთებს და არ მონაწილეობს თავისი შვილის აღზრდაში, მაშინ ის უნდა იქნეს დაბარებული გიმნაზიის ადმინისტრაციაში, მოსთხოვონ შვილის გიმნაზიიდან გაყვანა. მასპინძელი ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების სახელობის გიმნაზიის ადმინისტრაციის მიერ შემოთავაზებულ იქნა მშობლებისა და მასწავლებლების კატეხიზაცია (ტრენინგი). მათ ეს მტკივნეული საკითხი ასე დაარეგულირეს. მათ ჰყავთ ფსიქოლოგი, მაგრამ აქ ერთი რამ არის გასათვალისწინებელი, რომ მხოლოდ განათლებით ფსიქოლოგობა არ ნიშნავს იმას, რომ მისი მოღვაწეობა შედეგიანი იქნება. არა, მან უნდა გაიაროს ტრენინგი, უნდა ისწავლოს, როგორ დაამყაროს ურთიერთობა ბავშვის აღმზრდელთან, მასწავლებელთან და უპირველეს ყოვლისა, მშობელთან. უნდა იცოდეს ბავშვის ოჯახური მდგომარეობა, როგორი ურთიერთობა აქვს მშობლებთან და ამ ყველაფრის მერე შეიმუშაოს სტრატეგია ბავშვის მიმართ.

მასპინზელ გიმნაზიაში შექმნილია ხარისხის მართვის სამსახური, რომელიც აფასებს გიმნაზიის თითოეული თანამშრომლის შრომას.

კონფერენციაზე საუბარი იყო გიმნაზიების მატერიალურ-ტექნიკურ მდგომარეობაზე. მე ვიყავი ამაყი, რადგან ჩვენი გიმნაზიის მდგომარეობა ამ მიმართებით იყო სამაგალითო. როდესაც ნახეს ჩვენი გიმნაზიის ვიდეო-კოლაჟი, ყველა აღფრთოვანდა. სამაგალითოდ ჩათვალეს ჩვენი გიმნაზია და ყველამ გადაიწერა. მილოცავდნენ, რომ ასეთ პირობებში უხდებათ ჩვენს ბავშვებს სწავლა. ეს ყველაფერი კი როგორც კონფერენციაზე საუბრისას აღვნიშნე — გიმნაზიის დირექტორის, მეუფე იეგუდიელის პიროვნული შრომის შედეგი იყო და ამ ყველაფერს მოსწავლეები, მასწავლებლები და მშობლები უნდა ვაფასებდეთ.

კიდევ მრავალი საინტერესო საკითხი დაისვა და მისი გადაჭრის გზებიც დაისახა. დაიგეგმა, რომ საგნების მიხედვით გავინაწილოთ და ვეწვიოთ გიმნაზიებში ერთმანეთს. გამოჩნდნენ პირველი მოხალისეებიც. ასევე დაიგეგმა ივლისის პირველ რიცხვებში საღვთო სჯულის, ისტორიის, გეოგრაფიისა და ბიოლოგიის პედაგოგების შეკრება-სემინარი.

კონფერენციის მუშაობა შეაჯამა საქართველოს საპატრიარქოს განათლების ცენტრის თავმჯდომარემ, მიტროპოლიტმა იოანემ.

ციცინო ღუდუშაური

მოგზაურის თვალით დანახული ხევი

26-27 ივლისს შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის თანამშრომლები ვესტუმრეთ ხევს და ბინა დავიდეთ ფიცხელაურების საოჯახო სასტუმროში. დიასახლისობა გაგვიწია სტეფანწმინდელმა ქალბატონმა, ფილოლოგმა, საკუთარი კუთხის სიყვარულით გულანთებულმა პატრიოტმა. ამ მადლიანმა ქალბატონმა არა მარტო ხევისათვის დამახასიათებელი ხელგაშლილობა შემოგვაგება, არამედ გერგეტისა და მყინვარწვერის ულამაზესი პეიზაჟების სილამაზეც განგვაცდევინა, ნისლშემოხვეული მყინვარის ფონზე ფოტოები გადაგვიღო, გერგეტის წმინდა სამების იგავმიუწვდომელი მადლით აგვავსო.

მასპინძელმა იმავე დღეს დაგვათვალიერებინა წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზია. ქალბატონმა გვიამბო,რომ ყაზბეგის ყოფილი ბავშვთა სახლის შენობა სრულიად განადგურებული და იავარქმნილი იყო. უწმინდესისა და უნეტარესის საქართველოს პატრიარქის ლოცვა-კურთხევითა და ნებით დაიწყო შენობის აღდგენა-რეკონსტრუქცია. სტეფანწმინდისა და ხევის მთავარეპისკოპოს იეგუდიელისა და მისი წინამორბედების მონდომებამ კი საოცარი შედეგი გამოიღო. ეს დანგრეული შენობა დღეს მომავალი თაობის მაღალ დონეზე აღზრდის საქმეს ემსახურება.

საკუთარი თვალით ვნახეთ გიმნაზიის საკლასო ოთახები, სამლოცველო, სადაც თურმე როგორც მასწავლებლებს, ასევე მოსწავლეებსა და მომსახურე პერსონალს შესაძლებლობა აქვს განძარტოვდეს და ოლოცოს. ვნახეთ საკონცერტო დარბაზი და მაღალ დონეზე მოწყობილი საქტო დარბაზი, აქ მოსწავლეებს შეუძლიათ თანამედროვე აპარატურის საშუალებით მიაღწიონ თვითგანვითარებას.

ცალკე ოთახია გამოყოფილი ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწავლებისათვის, რომელსაც წარმატებით უძღვება მასწავლებელი ოთარ თურქიაშვილი. არ მოველოდით თუ ჩრდილოეთის ამ მაღალმთიან რეგიონში მომავალი თაობის აღზრდის საქმე ესოდენ დიდმნიშვნელოვანი იყო, თუმცა მასპინძელმა გვითხრა, რომ მოხვევე ადამიანები განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულნი არიან და წარმატებით სწავლობენ საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

მადლობა ამ ოჯახს ულამაზესი ორი დღისათვის, სახელდახელოდ გამოცხობილი უგემრიელესი ხაბიზგინებისათვის, განუმეორებელი დიმილისათვის, იმ განცდისათვის, რომ საქართველოს ყოველი კუთხის შვილებს რაღაც ანდამატური მიზიდულობის ძალა გვეზიდება ერთმანეთისაკენ.

კოლექტივის სახელით ზეინაბ სარია

პატარა გოგონას ბუნება

იყო ერთი პატარა გოგონა. მას ძალიან უყვარდა მხიარული ფერები და ყოველთვის ეცვა კესანისფერი, გვირილისფერი, ვარდისფერი, იისფერი კაბა.

გოგონას ოთახს ჰქონდა თაღისებური ფანჯარა. მოფრინდებოდა მტრედი და გოგონას ფანჯარაზე დასკუპდებოდა მშვიდად, გოგონა კი საკენკს უყრიდა. მტრედი ყოველ დღე სტუმრობდა გოგონას ოთახს. პატარა გოგონა მას საკენკით უმასპინძლდებოდა. ორივე შემოსკუპდებოდა ფანჯრის რაფაზე და ცას უყურებდა.

პატარა გოგონას ხშირი სტუმარი იყო წრუწუნა, რომელსაც დიასახლისი ყოველთვის ცოცხით დასდევდა. წრუწუნა კი — შეშინებულ გოგონას ოთახში ჰპოვებდა სიმშვიდეს. პატარა გოგონა წრუწუნას ყველის ნაჭრებს უყრიდა.

გოგონას სარკმლიდან ჩანს ლამაზი ხედი. ამიტომ პატარა გოგოს უყვარს ჯანჯარაზე შემოსკუპება და დღისით ღრუბლების იალქნების ცქერა, რომლებიც ფუმფულა ბატკნებს აგონებს. ამ დროს გოგონას თვალებში რომ ჩახედო, უძირო ცას დაინახავ. ღამით კი ცაზე ვარსკვლავებს და მთვარეს უყურებს და ფიქრობს ბუნების მშვენიერებაზე.

გოგონას უყვარს ცხოველები, ფრინველები და ყველა არსი.

ლალი ბურდული, II კლასი

ხევის ისტორიიდან. ყაზბეგი-სტეფანწმინდა

სტეფანწმინდა რაიონული და სადაბო საკრებულოს ცენტრია. შედის სტეფანწმინდა და სოფლები გველეთი და ცდო. გაშენებულია მდინარე თერგის ორივე ნაპირზე 1740 მეტრზე. მანძილი თბილისიდან 157 კმ.

სახელი სტეფანწმინდა გადმოცემით უკავშირდება სტეფანე (ღრუბელა) ბერს, რომელიც ოდესღაც ცხოვრობდა სტეფანწმინდიდან აღმოსავლეთით მდებარე „წითელ“ ეკლესიაში (დანგრეულია, შემორჩენილია მხოლოდ საკურთხევლის ნაშთი).

ერთ დღეს ქარიშხლი ამტყდარა. ბერს მოახლოებული საფრთხე წინასწარ უგრძნია და მოსახლეობა გაუფრთხილებია. ქარიშხალსა და ნიადვარს მართლაც წაულეკავს სოფელი, ხალხი კი გადარჩენილა. მას შემდეგ ეკლესიას წითელი ეკლესია უწოდეს, ადგილს კი სტეფანწმინა.

ყაზბეგი არაერთი ისტორიული ამბის მოწმეა. 1297 წელს მონღოლებმა განდგომილი დავით VIII-ის წინააღმდეგ დიდი სამხედრო ძალა გაგზავნეს. დავითი არაგვის ხეობაში იყო გამაგრებული. ვახუშტი ბაგრატიონის გადმოცემით, მოთარეშე მონღოლები სტეფანწმინდაშიც ჩასულან. XVIII საუკუნიდან სოფ. სტეფანწმინდა დაბად მოიხსენიება.

1892 წელს „ქრისტიანობის აღმდგენმა საზოგადოებამ აქ პირველად დააარსა პირველი დაწყებითი სკოლა.

1899 წელს რუსეთის მთავრობამ სნოს, სიონისა და სტეფანწმინდის საზოგადოებები ე.წ. ქვემო ხევის საზოგადოებად გააერთიანა. დაინიშნა მამასახლისი, მწერალი, ჩაფრები და სხვა. ისედაც გაღარიბებულ ხალხს ათასგვარი უკანონო გადასახადი დაუწესეს. მოხევეები ვერ იტანდნენ მჩაგვრელებს, ბუნებით მებრძოლმა და თავისუფლების მოყვარე ხეველებმა 4 აპრილს ძალით გარეკეს „ჯამაგირიანი მოხელეები“, ხოლო 10 აპრილს მაზრის უფროსს თავისი მოთხოვნები წაუყენეს. მოითხოვდნენ საადგილმამულო გადასახადისაგან (ყალნი) განთავისუფლებას. მცირე სამწათმოქმედო ნაკვეთების გაფართოებას, ცხვრის საბალახო იალაღებს, პირველდაწყებითი სწავლის შემოღებას ქართულ ენაზე, საავადმყოფოს გახსნას და სამედიცინო მომსახურებას, აქციზის მოსპობას, საქართველოს სამხედრო გზაზე სამხედრო ბეგარის გაუქმებას.

1918 წლის ივნისის შუა რიცხვებში რუსი ბოლშევიკური ხელისუფლების წაქეზებით დაბა სტეფანწმინდაში ადგილობრივ ბოლშევიკთა მონაწილეობით მოეწყო ამბოხი, რომელიც უშუალოდ ვლადიკავკაზიდან იმართებოდა. აჯანყებულებმა ჩაკეტეს სამხედრო გზა და ბოლშევიკური თვითმმართველობა გამოაცხადეს.

1918 წლის 12 ივლისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარებმა ალყა შემოარტყეს დაბას და დაიმორჩილეს ბოლშევიკების მიერ ინსპირირებული აჯანყების მონაწილენი. 13 ივლისს ბოლშევიკებმა ყაზბეგსა და სნოს შორის ველზე ბრძოლა გაუმართეს მთავრობის ჯარებს, მაგრამ კვლავ დამარცხდნენ. მათი გადარჩენილი რაზმები. ა. გეგეჭკორის მეთაურობით. თერგის ოლქის საბჭოს ტერიტორიაზე გადავიდნენ.

1923 წლის 28 აგვისტოს ყაზბეგის მწვერვალზე, მყინვარწვერზე (5033 მ) ავიდა ქართველ მთასვლელთა ჯგუფი, ამან საფუძველი ჩაუყარა საბჭოთა ალპინიზმს, ექსპედიციას ხელმძღვანელობდა ქართველი სპორტსმენი და მეცნიერი გ. ნიკოლაძე. ჯგუფი შედგებოდა თვრამეტი ახალგაზრდა მთამსვლელისაგან, მათ შორის იყო ხუთი ქალი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები. მთასვლელები მყინვარზე ავიდნენ დევდორაკის მყინვარის მხრიდან 20⁰ ყინვაში. მთავარი მეგზური იყო ყაზბეგელი მთამსვლელი იაგორ კაზალიკაშვილი. ამავე წლის 3 სექტემბერს მწვერვალზე ავიდა საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორიის პირველი სამეცნიერო ექსპედიცია. ხელმძღვანელი პროფ. ა. დიდებულიძე.

1966 წელს სოფელი გერგეტი შეუერთდა დაბა ყაზბეგს. დაბის მახლობლად 12 კილომეტის დაშორებით, მოქმედებს საქართველოს სახელმწიფო საბაჟო.

სტეფანწმინდა მშობელი კუთხეა ცნობილი მწერლის ალექსანდრე ყაზბეგისა და სამხედრო მოღვაწის გიორგი ყაზბეგისა. ყაზბეგში დაიბადნენ პოეტები ალექსანდრე გომიაშვილი, მირანგულ ავსაჯანიშვილი, ძმები შალვერდი და იორამ ღვუდუშაურები და სხვები.

გ. აფრასიძე და ლ. წითლანაძე

მფარველი ანგელოზი

თვითოეულს თქვენგანს, ბავშვებო, ჰყავს უხილავი კეთილისმყოფელი, რომელიც ყოველთვის თქვენთან არის, კეთილზედ გაქეზებთ, ბოროტს გაშორებთ და რომელსაც ახარებს თქვენი სიკეთე, ხოლო მწუხარედა ხდის თქვენი სიცუდე. ვინ არის ეს უხილავი კეთილისმყოფელი? იგი არის მფარველი ანგელოზი. ახლაც, ამ წამში, იგი უხილავად თქვენს ახლოს არის. დაგცქერით და უხარიან, რომ სკოლაში ხართ, კეთილ საქმეს აღგეხართ, სწავლობთ კარგსა და სასარგებლო საგნებსა, როცა დღეს სწავლას გაათავებთ და შინ წახვალთ, თან გამოგყვებათ თქვენი უხილავი მცველი. იგი მიეცემა სიხარულსა, როცა თქვენ სახლში გაკვეთილების გამეორებას შეუდგებით, დედ-მამას მორჩილებასა და დახმარებას გაუწევთ, ობლებს ხელს გაუმართავთ, ტოლ-ამხანაგებს სიკეთეს უზამთ, ერთი სიტყვით, კეთილად მოიქცევით. მეტადრე ბრწყინავს სიხარულით ანგელოზი, როცა დილითა და საღამოთი სასოებით დაიჩოქებთ ხატის წინაშე, მხურვალედ შეევედრებით უფალსა და სთხოვთ არა მარტო თქვენს ბედნიერებასა, არამედ დედ-მამისას. ანგელოზი მთელი ღამე იმყოფება თქვენი საწოლის ახლოს. მოგგვრით მშვიდობიანს ძილსა და მოგიელენთ ტკბილსა და უმანკო სიზმრებსა.

ასე ახლოა თქვენთან ანგელოზი და ასე უხარიან მაშინ, როცა თქვენ კეთილს გზაზედ სდგეხართ და კარგად იქცევით. მაგრამ თუ თქვენ გული აიცრუეთ სწავლაზე, სიზარმაცეს მიეცით თავი, დედ-მამას ურჩობა გაუწიეთ, ტოლ-ამხანაგებს ცუდად მოეპყარით, ღმერთი და წირვა-ლოცვა დაივიწყეთ, მეზობლებს ავნეთ რამე, მაშინ მფარველი ანგელოზი გშორდებათ, სწუხს თქვენზედ და ევედრება უფალსა, რათა მან გონზედ მოგიყვანოთ, ცოდვისაგან გიხსნათ, კეთილი შეგაყვაროთ და ისევ სწორ გზაზედ დაგაყენოთ. და როდესაც მას უსრულდება ეს სურვილი და თქვენ ცოდვას ზურგს აქცევთ და კეთილისაკენ მიიქცევთ პირსა, მაშინ იგი სიხარულს ეძლევა, უწინდებურად გიახლოვდებათ, მფარველობას გიწევთ და ცდილობს, რაც შეიძლება მომეტებული კეთილი საქმე გაქნევინოთ და ზეციურ მამასთან დაგაახლოვოთ.

როცა დაბერდებით და გარდაიცვლებით, თუ თქვენ უფლის წინაშე მართალნი იქნებით, მფარველი ნაგელოზი ჩაიბარებს თქვენს სულსა, აიყვანს ზეცას და დააბინავებს იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

იაკობ გოგებაშვილი

გთავაზობთ ახალგაზრდა მოხევე პოეტის სალომე ჩაბაკაურის ლექსს „მთებო, კალთების ნისლებო“ წიგნიდან „ძახილი მთიდან“:

მთებო... კალთების ნისლებო,
ბილიკებ-გაუკვალავო,
ხევის გმირებო მამაცნო
ბრძოლაში შეუპოვარნო...
თერგის ხეობავ! — ძლიერო
უბატონოთა ხმა ხარო.
გერტეთის წმინდა ტაძარო,
ხვის დამცველო ძალაო!
დაგვლოცე ხევის შვილები
შენი მონა და ყმა ვართო.
ნასახლარების კუთხენო
დღეს ჭინჭარ-ნართა საფარო,
უამრავ მტერთა მომსვრელო,
ბრძოლის ჟინითა მაღალო,
მთის ადათ-წესთა დამცველო,
მოხევევ! ხევის ყმა ხარო.
უფლისგან დალოცვილი ვართ,
ღვთისმშობელიც ჩვენ გვფარავსო,
შენი ნახვით და დიდებით,
შენი ერთგული ძმა ვარო.
დიადო კუთხევ, ყაზბეგო!
ჯიხე-არწივების სავალო
ადიდეთ მრავალხმიანად
აქ გავიშალოთ ტაბლაო.
მყინვარის თავზე თეთრ ქუდად
თოვლისფერ ნისლთა მარაო
კლდის ჭიუხებში მავალი
ცხვრის უამრავი ფარაო!
ერთურთის სიყვარულითა
მთას შეფიცული ძმა ვართო
დაგვლოცოს წმიდა გიორგიმ!
მთის სალოცავთა ძალამო.
შენი ვარ, შენზე მლოცველი,
ჩემს ფიქრებს მე არ ვმალავო
წავალ და დაგიბრუნდები...
მე უშენობით რა ვარო!

სალომე ჩაბაკაური

რედაქტორი მანონი გომიაშვილი	სარედაქციო კოლეგია: არქიმანდრიტი ნიკოლოზ ღლონტი, ციცინო ღუდუშაური, ნინო თურქიაშვილი, თამარ ოდიშვილი.	მის. სტეფანწმინდის წმ. ილია მართლის სახ. გიმნაზია-პანსიონი